ხელშეკრულება საქონლის შესყიდვაზე # 60-7-114-589

ქ. თბილისი 2014წ. 06.10.

I. მხარეები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონი სულხან ზუმბურიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „იტს“-ს (შემდგომში - „მიმწოდებელი“) შორის, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბატონი თეიმურაზ მიქელაძის სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (შემდგომში-„საქონელი“) შესაბამისად.

2.2. დანართი #1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

III. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. „საქონლის“ საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად და შეადგენს **75 534,16** (სამოცდათხუთმეტი ათას ხუთას ოცდათოთხმეტი ლარი და 16 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში– „ხელშეკრულების ღირებულება“), „ხელშეკრულების ღირებულება“ ითვალისწინებს ყველა ხარჯს, მათ შორის: „საქონლის“ ტრანსპორტირების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს „შემსყიდველის“ მისამართამდე, რომელიც აღნიშნულია დანართ #1-ში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით გადახდის დღეს საქართველოს ეროვნულ ბანკში დაფიქსირებული კურსის მიხედვით.

3.3. „შემსყიდველი“ „მიმწოდებელს“ უხდის საავანსო თანხას „ხელშეკრულების ღირებულების” 30%-ის ოდენობით, „მიმწოდებლის“ მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებული ბანკიდან. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით მეტი ვადით. ავანსად გაცემული თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.4. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება „საქონლის“ სრულ მოცულობაზე (წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

4.1.1. „შემსყიდველს“ გადასცეს ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი, ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი „საქონელი“ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 60 (სამოცი) კალენდარულ დღეში;

4.1.2. „საქონელის“ მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად;

4.1.3. წერილობით შეატყობინოს „შემსყიდველს“ მთელი „საქონლის“ ან მისი ნაწილის გასაგზავნად მზადყოფნის შესახებ დანართ #1-ში მითითებული მიწოდების პირობის შესაბამისად.

4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

4.4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული „საქონლის“ ღირებულება;

4.4.2. მიღება-ჩაბარების დროს ვიზუალურად და რაოდენობრივად შეამოწმოს „საქონელი“;

4.4.3. აღმოჩენისთანავე ან საგარანტიო პერიოდში ექსპლუატაციის დროს წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს“ მიღების ან ექსპლუატაციის დროს „საქონელზე“ შემჩნეული ნაკლის შესახებ.

V. გარანტია

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული „საქონელი“ მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

5.2. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული „საქონლის“ საგარანტიო ვადა არის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 24 (ოცდაოთხი) თვე. რაზედაც წარმოდეგნილი უნდა იქნას ქარხანა დამამზადებლის მიერ გაცემული საგარანტიო სერტიფიკატი.

5.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი ან შეუსაბამობა, „მიმწოდებელი“ ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი „შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ეს შეუძლებელია, „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეუცვალოს წუნდებული „საქონელი“.

VI. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია „ხელშეკრულების ღირებულების“ 5%-ის ოდენობით. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით მეტი ვადით.

6.2. „შემსყიდველის“ მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებისშესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, „ხელშეკრულების ღირებულების“ 5%-ის ოდენობით, გამოყენებული იქნება შემდეგშემთხვევებში თუ:

ა) „მიმწოდებლის“ მხრიდან „საქონლის“ მიწოდების ვადა ირღვევა 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში;

ბ) „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული „საქონელი“ არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.3.წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ საბანკო გარანტიის საფუძველზე უპირობოდ და შეუქცევადად იღებს მთელ გარანტირებულ თანხას („ხელშეკრულების ღირებულების“ 5%-ს).

6.4. „შემსყიდველის“ მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულების მე-VII მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობებისგან.

VII. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. „მიმწოდებლის“ მიზეზით „საქონლის“ დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო „ხელშეკრულების ღირებულების“ 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხარისხიანი „საქონლის“ სრულად მიწოდების დღემდე.

7.2. „მიმწოდებლის“ მიზეზით „საქონლის“ არასრულად ან საერთოდ არმიწოდების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშკერულების

ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შესწყვეტის დღემდე.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 და 7.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო „მიმწოდებელს“ გადასახდელად დაერიცხება იმ შემთხვევაშიც, თუ „მიმწოდებელს“ „საქონელი“ უბრუნდება წუნდების ან ხარვეზის გამოვლნის გამო, წუნდებული ან ხარვეზიანი „საქონლის“ მაგივრად ხარისხიანი „საქონლის“ მიწოდების დღემდე. 7.1 და 7.2 პუნქტების მოქმედება ასევე ვრცელდება საგარანტიო პერიოდზე.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 პუნქტის შესაბამისად „შემსყიდველის“ მიზეზით ანაზღაურების დაგვიანების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო „ხელშეკრულების ღირებულების“ 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

7.6. ფაქტიურად მიწოდებული „საქონლის“ ღირებულების ანაზღაურებისას ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია „ხელშეკრულების ღირებულებიდან“ გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და „მიმწოდებელზე“ დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა.

VIII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8.2. „შემსყიდველის“ მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” ექსპლუატაციის სამსახურის უფროსი - გოჩა გამხუაშვილი.

8.3. კონტროლი განხორციელდება მიწოდებული „საქონლის“ ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

IX. ფორს-მაჟორი

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან დარომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით

აგრძელებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

X. ურთიერთობა მხარეებს შორის

10.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობითი ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებული ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

10.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

XI. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

11.1.წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნას მხარეთა წერილობითი შეთანხმებისსაფუძველზე.

11.2. შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ამ ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ამ ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

11.3.1. მხარეთა შეთანხმებით;

11.3.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში.

11.4. „შემსყიდველს“ შეუძლია წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

11.4.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, „შემსყიდველის“ მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს;

11.4.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5.წინამდებარე ხელშეკრულების 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად მიწოდებული „საქონლის“ ღირებულება.

XII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ამ ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, მეორე მხარეს უნდა აცნობოს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ამ ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XIII. დავათა განხილვა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ამ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XIV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

14.1. „საქონლის“ მიწოდებისას „შემსყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს მიწოდებული „საქონლის“ შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ხარვეზების (წუნდების) არარსებობის შემთხვევაში ,,შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიღებული „საქონლის“ მიხედვით.

14.2.„საქონლის“ მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზების (წუნდების) შემთხვევაში „შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს „მიმწოდებელს“ სათანადო ხარვეზების შესახებ (წუნდების არსი).

14.3.„მიმწოდებელი“ ვალდებულია ხარვეზების (წუნდების) აღმოჩენის შემთხვევაში „შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი, თუ ეს შეუძლებელია, „მიმწოდებელმა“ ,,შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეცვალოს „საქონელი“.

14.4.„საქონელი“ მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ პასუხისგებლობა „საქონელზე“ გადადის „შემსყიდველზე“.

XV. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 მარტის ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში საგარანტიო ვადის ბოლომდე.

XVI. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობისგარეშე.

16.4.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვამხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2013 წლის 7 მარტის საქართველოს მთავრობის #53 დადგენილებით დამტკიცებული სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ელექტროენერგიის გადაცემა–დისპეტჩერიზაციის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო „საქონლის“ და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

XVII. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საქართველო, ქ. თბილისი,
ბარათაშვილის ქ. #2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204995176
ს/ს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიში GE56BG0000000283534100

სულხან ზუმბურიძე

რეაბილიტაციის
მმართველი/მმართველთა საბჭოს
თავმჯდომარე
ბ.ა.

„მიმწოდებელი“:
შპს „იტს“
საქართველი, თბილისი,
ყაზბეგის გამზ. #47

საიდენტიფიკაციო კოდი:
ს/ს „თიბისი ბანკის“ საბურთალოს ფილიალი
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიში GE45TB7637536080100001

თეიმურაზ მიქელაძე

დირექტორი
ბ.ა.

დანართი 1

ფასების ცხრილი

საქონლისდასახელება დამახასიათებელი	შპს „იტს"–ის შემოთავაზება	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით ლარი	საერთო ღირ–ბა დღგ-ს ჩათვლით ლარი
ქურო ალუმინის ერთფაზა კაბელის დამაბოლოებელი გარე დაყენების, მშრალი, პლასტმასის იზოლაციით, გულანის დიამეტრი 70 მმ², ძაბვა 35 კვ	ქურო 1ПКНт35-70-В	200	ცალი	162,84	32 568
ქურო ალუმინის ერთფაზა კაბელის დამაბოლოებელი გარე დაყენების, მშრალი, პლასტმასის იზოლაციით, გულანის დიამეტრი 185 მმ², ძაბვა 10 კვ	ქურო 1ПКНт10-185-В	26	ცალი	59	1 534
ქურო ალუმინის ერთფაზა კაბელის დამაბოლოებელი გარე დაყენების, მშრალი, პლასტმასის იზოლაციით, გულანის დიამეტრი 400 მმ², ძაბვა 10 კვ	ქურო 1ПКНт10-400-В	244	ცალი	112,10	27 352,40
ქურო ალუმინის ერთფაზა კაბელის დამაბოლოებელი გარე დაყენების, მშრალი, პლასტმასის იზოლაციით, გულანის დიამეტრი 240 მმ², ძაბვა 10 კვ	ქურო 1ПКНт10-240-В	66	ცალი	61,36	4 049,76
ქუროების სამონტაჟო კომპლექტი	ხელსაწყო ნახევარგამტარული ეკრანის მოსაჭრელი IT - 1000-017-2, მაკრატელი კაბელის НКм-40, სექტორული მაკრატელი НС-70, სანთურა, ჭრიალა (трещотка)	4	ცალი	2 507,50	10 030

სულ საერთო ღირებულება: 75 534,16 ლარი

საქონელი მიწოდებული უნდა იყოს DDP საქართველო, ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. 29 - Incoterms 2010-ის პირობით.

სულხან ზუმბურიძე
რეაბილიტაციის მმართველი/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ.ა.

თეიმურაზ მიქელაძე
დირექტორი
ბ.ა.